



პროექტებს ბრანდის ფორმით დააფინანსებენ

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში აჭარის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით განხორციელებული ცვლილება პრაქტიკაში დაინერგა.

აღნიშნული საკანონმდებლო სიახლის მიღებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფ ორ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ახალგაზრდული პროექტების განხორციელებისა და დასაქმების ხელშეწყობისთვის გრანტების გაცემის უფლებამოსილება მიენიჭა.

კანონის ამოქმედების შემდეგ, ნაცვლად გართულებული სატენდერო პროცედურებისა, რომელიც პროგრამების ეფექტურად განხორციელებას ხელს უშლიდა, სსიპ „ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი“ შექმნეს, სწრაფად და მარტივად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, გრანტის სახით დააფინანსოს ახალგაზრდობის მონაწილეობა ისეთ მნიშვნელოვან პროექტებში, როგორებიცაა: ახალგაზრდული ინ-



იციატივების მხარდაჭერა, საერთაშორისო კონფერენციებში, ფორუმებში, საერთაშორისო საზაფხულო სკოლებში მონაწილეობა და ა.შ.

„კანონის ცვლილების მიღებით, სსიპ „აჭარის დასაქმების სააგენტოს“ შესაძლებლობა ეძლევა, შრომით ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში გადამზადებულ პირებზე, გრანტი სხვადასხვა სახის სამუშაო ინვენტარის შესაძენად გასცეს, რაც გადამზადებული პირებისთვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნის

შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

საკანონმდებლო ცვლილების იმპლემენტაციის მიზნით, აჭარის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის, აჭარის მთავრობის აპარატის და შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობით, 2022 წლის 28 ივლისს, აჭარის მთავრობამ შესაბამისი სამართლებრივი ზომები მიიღო, რითაც საკანონმდებლო სიახლის დანერგვის პროცესი დასრულდა.

უახლოეს მომავალში, ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციები, ნაცვლად გართულებული სატენდერო პროცედურებისა, პროექტებს გრანტის ფორმით დააფინანსებენ, ეს კი პროგრამებში მონაწილე პირების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას საგრძობლად გააუმჯობესებს და დაეხმობა აისახება მათ კეთილდღეობაზე.

ცნობისთვის: 2021 წელს აჭარის უმაღლესი საბჭოს იურიდიულმა

კომიტეტმა, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის საქმიანობის კიდევ უფრო ეფექტურად განხორციელებისა და საკანონმდებლო საჭიროებების შესწავლის მიზნით, კვლევა ჩატარა. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დავით გაბაიძისა და საკონსტიტუციო და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ვლადიმერ მგალობლიშვილის ავტორობით, აჭარისა და საქართველოს მთავრობასთან აქტიური თანამშრომლობით, „გრანტების შესახებ“ კანონის პროექტი საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე მომზადდა, რომელიც უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა. კანონპროექტი, რომელიც პარლამენტში ვლადიმერ მგალობლიშვილმა წარადგინა, 12 აპრილს მიიღეს.

ანა ჩხიკვაძე

პროექტის მიმდინარეობას გაეხსენა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე რომეო მიქაუტაძე, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის გენერალურ დირექტორ გიორგი ჩიქოვანთან ერთად, აღმოსავლეთ-დასავლეთის 60 კმ-იანი მაგისტრალური გაზსადენის ქობულეთის განშტოების მშენებლობას ადგილზე გაეცნო. პროექტი დასრულების ეტაპზეა. გაზსადენის ამოქმედების შემდეგ, უზრუნველყოფილი იქნება როგორც ბუნებრივი გაზით აჭარის რეგიონის შეუფერხებელი გაზომარაგება, ისე - ახალი დასახლებების გაზიფიცირება.

რომეო მიქაუტაძის განცხადებით, ახალი გაზსადენის მშენებლობის აუცილებლობა განაპირობა აჭარის რეგიონის მზარდმა მოთხოვნილებამ ბუნებრივი აირზე. მისი თქმით, რეგიონში გაზომარაგების დივერსიფიკაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც შავი ზღვის სანაპირო ზოლის, ისე აჭარის მაღალმთიანი ზონის

ეკონომიკურ განვითარებას.

პროექტს ნავთობისა და გაზის კორპორაცია საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე ახორციელებს. გაზსადენის ეს განშტოება, ჯამში, 60-კილომეტრიან მონაკვეთს მოიცავს - აბაშიდან ქობულეთამდე და მის მშენებლობაზე, დაახლოებით, 40 მილიონ ლარამდე გაიხარჯა.

„ახალი გაზსადენი მნიშვნელოვანი შედეგით იქნება როგორც აჭარის მოსახლეობისთვის, ისე - ტურისტული სექტორისთვის, რომლისთვისაც სტაბილური, ხარისხიანი და სიმედიო გაზომარაგება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. კორპორაციის გუნდი სრულიად უნიკალური სირთულისა და უპრეცედენტო მასშტაბის სამუშაოებს ასრულებს. ქვეყნის სოციალური სექტორის მომხმარებელთა ბუნებრივი აირით გარანტირებული მომარაგების უზრუნველყოფა, ისევე, როგორც ნავთობისა და გაზის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, კო-



რპორაციის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი სფეროა“, - განაცხადა გიორგი ჩიქოვანმა.

ახალი მილსადენის ამოქმედების შემდეგ, არსებულს სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდება. ახალი მილსადენით კი 20 პროცენტით მეტი ბუნებრივი აირის მიწოდება შესაძლებელია.

ელენე საყვარელიძე

ციტრუსის რეალიზაციის საკოორდინაციო შტაბი ამოქმედდა

ციტრუსის სეზონის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ მოადგილეებთან - ირმა აფხაზავასთან და მირიან ქათამაძესთან ერთად, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ციტრუსის მიმდებარედაამუშავებელი საწარმოები - შპს „ქართული ხილის ექსპორტი“ და შპს „Georgian industrial Asset Management Group“-ი დაათვალიერა.

შპს „ქართული ხილის ექსპორტი“ მიმდინარე წელს მზადაა მიიღოს და გადაამუშავოს ციტრუსოვანთა ნაყოფი. რაც შეეხება არასტანდარტული ციტრუსის საკონსერვო ქარხანა შპს „Georgian industrial Asset Management Group“-ს, იგი შეუზღუდავი რაოდენობით მიიღებს არასტანდარტულ მანდარინს. აწარმოებს ციტრუსის კონ-



ცენტრატს, საიდანაც დამზადდება წვენი. დაგეგმილია პროდუქციის ექსპორტზე რეალიზაცია.

- ველს, ციტრუსის სეზონზე, აჭარაში ციტ-

რუსის რეალიზაციის საკოორდინაციო შტაბი ამოქმედდა, რომელიც მიზნად ისახავს ციტრუსის ლოჯისტიკისა და რეალიზაციის ხელშეწყობას, ასევე ციტრუსის სუბსიდირების უზრუნველყოფას. შტაბის ძირითადი მიზანია მანდარინის ჩაბარების პროცესის მართვა, შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი შესრულების კონტროლი. სამუშაო ჯგუფი, არასტანდარტული მანდარინის რეალიზაციის გარდა, უწყვეტ რეჟიმში იქნება ჩართული სტანდარტული მანდარინის რეალიზაციის მიმდინარეობის პროცესში. შტაბს, აჭარის მთავრობის ხელშეწყობით, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამოქმედებს, - განაცხადა ზაზა შავაძემ.

ანა ჩხიკვაძე

ინფრასტრუქტურული საშუალებები ბრძოლაში ხელვაჩაურის მერიასში

ნათია იხნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერმა ზაზა დიასამიძემ, ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა ნონა ქოქოლაძემ და ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ ხელმძღვანელმა მანუჩარ მანველიძემ სხვადასხვა ლოკაცი-

აზე დასრულებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მოინახულეს.

სოფელ მარადილში (ძაბლავეთი) ქვედა ქუთურეთის მიმართულებით მოეწყო სამანქანე ხიდი, რომელიც სოფლის სასაფლაოებთან მისასვლელი ერთადერთი გზაა, ხიდი ახვევს ისარგებლებენ სასაზღვრო პოლიცია და ქვედა ქუთურეთის მცხოვრები 14 ოჯახი.

სოფელ თხილნარის მეურნეობაში რევაზ ბერიძისა და ასლან ბერიძის საცხოვრებელი სახლის მიმართულებით განხორციელდა 410 გრძივი მეტრი შიდასასოფლო გზის რეაბილიტაცია. სამუშაოები შესრულა - შპს „ვერ ბალ გრუპმა“. პროექტის ღირებულება 34 622 ლარია.

თხილნარის (აგარის) დაწყებითი სკოლის რეაბილიტაცია შპს „იორ ბუილდინგ კომპანიმ“ განახორციელა. პროექტის ღირებულება 132 040 ლარია.

სოფელ თხილნარის მეურნეობაში, განახლებული რეგიონების პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს საზოგადოებრივი და გასართობი სკვერი მოწყობა. სამუშაოებს ასრულებს - შპს „სტარტ+“. პროექტის ღირებულებაა 67 698 ლარი.

ნათია იხნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მერიაში მსოფლიო ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის მხარდაჭერით, საყოველთაო ინტერნეტის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მერის ზაზა დიასამ-



იძის ინიციატივით, მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემაძე, მერის მოადგილეები, ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი და ადგილობრივი ინტერნეტპროვაიდერი კომპანიები. მათ პროგრამის დაწყებისათვის საჭირო საკითხებზე, მომსახურების პირობებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. პროგრამის ახორციელებს ა(ა)იპ „ოუფენ ნეტ“. მიმდინარე ეტაპზე იწყება ოპტიკური ქსელის საპროექტო სამუშაოები.

ანა ჩხიკვაძე



თაბარი სიხას რეაბილიტაცია რეაბილიტაცია

ნათია იხნაიშვილი 27 48 92

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ თაბარის ციხის სარესტავრაციო/საკონსერვაციო და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაზე მუშაობა დაიწყო. პროექტის მიხედვით, მოეწყობა მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურა ქალაქ ბათუმის მერიის მხარდაჭერით.



ციხე, საგარეუდ, აგებულია მერ საუკუნეში. იგი მდებარეობს მდინარე ყოროლისწყლის მარცხენა ნაპირას აღმართულ ბორცვზე. იგი მრავალჯერ გადააკეთეს, ამიტომ, თავდაპირველი სახის აღდგენა ძნელია. ციხე მნიშვნელოვნად დაზიანდა გასული საუკუნის 60-იან წლებში, მასზე კაფე-პავილიონის აშენებისას. ამ დროს სამხრეთი კედლის ერთი ნაწილი დაინგრა.

როგორც აჭარის ძეგლთა დაცვის სააგენტოში აცხადებენ, ბათუმის მერიისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ჩართულობით, ასევე ფონდი „ქართუს“ თანადაფინანსებით, ბათუმში 2018 წლიდან ძეგლების რესტავრაცია ინტენსიურად მიმდინარეობს. სულ, ქალაქის მასშტაბით, 18 ძეგლს ჩაუტარდა რესტავრაცია. მათ შორისაა ე.წ. რვაფეხა და ბათუმის დრამატული თეატრი, სადაც დაახლოებით 10 მილიონ ლარამდე დაინარჯა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთვის პრიორიტეტად ავარიული ძეგლების რესტავრაცია რჩება. ამ ეტაპზე ძეგლ ბათუმში რამდენიმე ძეგლის რესტავრაცია/კონსერვაცია მიმდინარეობს.

არქეოლოგიური ექსპედიცია დაიწყო

პეტრას ციხეზე, არქეოლოგიური გიორგი თაყაიშვილის ხელმძღვანელობით, არქეოლოგიური ექსპედიცია დაიწყო.

წელს საგველ კვლევა-ძიება ნაგების აღმოსავლეთი მონაკვეთის გაწმენდის და ადრეულ ნაგებობასთან კავშირის საბოლოოდ დადგენის მიზნით, სამნავიანი ბაზილიკის სივრცეში გაგრძელდება. დასრულებულია 2021 წელს დაწყებული სამუშაოების სამნავიანი ბაზილიკის საკუთრების ხელის გარეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთით. შარშან სამუშაოები სამეურნეო ნაგებობის ჩრდილოეთი კედლის და მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა. ამჯერად, უშუალოდ სამეურნეო ნაგებობის შიგნით და სამხრეთის კედლის გარეთ, ციხის გალავნის კედლამდე გაგრძელდება. შარშან აღმოჩენილია არტეფაქტებმა პეტრა უფრო „დააძველა“ - იგი VI საუკუნემდე გაცილებით ადრეა აგებული, როგორც აქამდე ვარაუდობდნენ.

ანა ჩხიკვაძე



ეკონომიკური სანქციები - მნიშვნელოვანი იარაღი საერთაშორისო პოლიტიკაში

ლუაზა ხომერიკი 593 50 82 69

ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მეტად მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, დრამატული ფაქტები ხდება: რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, მცოცავი ოკუპაცია საქართველოს მიმართ, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ქვეყნებზე. სამწუხაროდ, სწორედ ზესახელმწიფოები არღვევენ სუვერენული ქვეყნების ინტერესებს, რისი თვალსაჩინო მაგალითია საქართველო და უკრაინა

მსოფლიოში იდეალური და სამართლიანი სახელმწიფო არ არსებობს, მით უფრო - ზესახელმწიფოები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი გავლენის გავრცელებას სხვადასხვა ქვეყანაზე, არადა, 21-ე საუკუნეში ოკუპაცია არ უნდა იყოს დასაშვები, აგრესორს საკადრისი პასუხი უნდა მოეთხოვოს, ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო სამართალი და გაეროს წესდება ამას ითვალისწინებს, მაგრამ როცა საქმე რუსეთს ეხება, რატომღაც გაერო უუნარო ხდება, ხოლო დასავლეთი, რეალურად შეშფოთება-აღშფოთებით შემოიფარგლება. რა არის ამის მიზეზი? ექსპერტთა თქმით, წესრიგი, რომელიც 1945 წელს გაეროს წესდებით დამკვიდრდა, ვეღარ ამართლებს, ვეღარ აღწევს დასახულ მიზანს, შესაბამისად, პოლიტიკური მეთოდები, პოლიტიკური ურთიერთობები უფრო ეფექტურია, ვიდრე სამართლებრივი, მით უმეტეს, რუსეთთან მიმართებით. ამაში დასავლეთი უკრაინაში შექმნილი რეალობით დარწმუნდა და აგრესორის წინააღმდეგ მძლავრი სანქციები ამოქმედდა, რამაც რუსეთი და აშშ ერთმანეთს დააპირისპირა. ამ მხრივ ჩნდება კითხვა: ახალი სანქციები რამდენად ეფექტური იქნება რუსეთზე ზემოქმედებისთვის? ამ კითხვას სულ უფრო ხშირად სვამენ ექსპერტები და ერთმნიშვნელოვან პასუხს ვერ იძლევიან...

ბოლო წლების განმავლობაში საერთაშორისო არენაზე აშშ-მაც და რუსეთმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, ორივე სახელმწიფო აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო პროცესებში. მაგალითად, რუსეთი - სირიაში, ახლა - უკრაინაში, ხოლო ამერიკას საგარეო წარმატებები ისედაც არ აკლდა, ამით წელგამართულნი კი ცდილობენ, გაიფართოონ გავლენის არეალი. რუსეთი, წარმატებული საგარეო პოლიტიკით წახალისებული, ახალ ვაზანზე მიდის, უფრო მეტად აპირებს საერთაშორისო პროცესებში ჩართვას, აშშ-ს არ მოსწონს რუსეთის ამგვარი სითამამე, აქტიურობა და ცდილობს, შეზღუდოს იგი სამართლებრივი ბერკეტებით. ამ მიმართებით, აშშ კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს. კერძოდ, მას სურს, ტვირთი აპკიდოს რუსეთს, შეზღუდოს შემოსავლების მიღება საერთაშორისო ბაზარზე, რისთვისაც ყველაფერს აკეთებს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში. რუსეთი, თავის მხრივ, ცდილობს ამას გაუმკლავდეს. როგორც ცნობილია, ამ ქვეყანას ოდიტოვანე აქვს გამოშუშავებული საკუთარი ინტერესებისთვის ბრძოლის უნარი. მან დიდი მიმწოდებელი დასძლია, აღიარებულ წინააღმდეგ ბრძოლასაც გაუძლო და გამარჯვებულიც გამოვიდა ამ ბრძოლიდან. ამიტომ ძალიან საეჭვოა, დასავლეთმა ასეთი გამოცდილების მქონე სახელმწიფოსთან სანქციებით წარმატებას მიაღწიოს. გარდა ამისა, კარგად უნდა გავიაზროთ ის, თუ სადამდე შეუ-



ძლია ამან მიიყვანოს რუსეთი და ხომ არ გამოიწვევს დაწესებული სანქციები მის ვაზანზე წასვლის პროვოცირებას? ექსპერტები ამ მხრივ რამდენიმე სცენარს განიხილეს. ეს შეიძლება გამოიხატოს გადაწყვეტი საომარი მოქმედებების დაწყებაში, მაგალითად, მოლდოვის წინააღმდეგ, ანდა დოლარზე აბსოლუტურად უარის თქმაში, რამაც პირველ ხანებში რუსეთი შეიძლება დააზარალოს, მაგრამ დროთა განმავლობაში ფეხზე დადგეს და ისწავლოს დოლარის გარეშე ცხოვრება, იფიქროს სხვადასხვა ფინანსური ალიანსის შექმნაზე, რამაც მსოფლიო წესრიგი შეცვალოს - ეს ეკონომიკური მხარე იქნება. ასევე, შეიძლება ვაზანზე წასვლა სამხედრო თვალსაზრისითაც გამოიხატოს - გაურიგდეს ჩრდილოეთ კორეას, აქეთ კი გასათვალისწინებელია ირანის, სირიის, ჩინეთის ფაქტორი... დღეს ვერ ვიტყვი, რომ მსოფლიო ბიპოლარულია, ის მრავალპოლარულია და ყველა ცდილობს გავლენის მოპოვებას. ჯერჯერობით, აშშ ცდილობს სადავეების დაჭერას, მსოფლიოს კარნახობს განვითარების ტემპს, რიტმს... როგორც ცნობილია, სანქციები მნიშვნელოვანი მექანიზმია საერთაშორისო პოლიტიკაში სხვადასხვა სახელმწიფოზე ზემოქმედებისთვის.

რუსეთისთვის მტკიცე უფლები საკითხია დაწესებული ეკონომიკური სანქციები, რასთან დაკავშირებითაც მივიღეთ ორი რეალობა - დასავლეთი თვლის, რომ ეკონომიკურმა სანქციებმა რუსეთის ეკონომიკას სერიოზული პრობლემები შეუქმნა, ხოლო მოსკოვში აცხადებენ, რომ სანქციების მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკა არ ჩამოშლილია და რუსეთს შეუძლია არსებულ გამოწვევას საკმაოდ კარგად გაუმკლავდეს. ისიც ფაქტია, რუსეთი ჯერჯერობით უმკლავდება დაწესებულ სანქციებს. სახელმწიფომ, რომელსაც ეკონომიკა ჩამოშლილი აქვს, იმ მასშტაბის სამხედრო ოპერაციები, რომელსაც აწარმოებს უკრაინაში, წესით და რიგით, ვერ უნდა შეძლოს. ამდენად, ჩნდება ეჭვი დასავლეთის სანქციების არაეფექტურობის თაობაზე. არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ დასავლეთი არ უწყებს რუსეთს სრულმასშტაბიან სანქციებს - მოსკოვზე ზემოქმედების მოსახდენად მთავარი იარაღი ხომ რუს-

ულ ენერგორესურსებზე უარის თქმაა. ექსპერტები თვლიან, რომ ამის მიღწევა ჯერჯერობით არარეალურია ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით, პირველი - ნავთობის მარაგის შემცირების კვალდაკვალ იზრდება მასზე მოთხოვნილება, მეორე - დღეს აღარ არის წინა საუკუნის 70-80-იანი წლების რეალობა, როდესაც მხოლოდ დასავლეთის ბაზარზე იყო მოთხოვნა. დღეს გაჩნდა ახალი ბაზარი აზიასა და აღმოსავლეთში, მათ შორის, ჩინურია და ინდურია. აღსანიშნავია ტრანსციმბორული გაზსადენის მშენებლობა, რომელიც ჩინეთსა და ინდოეთს ენერგორესურსებით მოამარაგებს. ამ ბაზარს რუსეთი, სავარაუდოდ, რამდენიმე წელიწადში ათვისებს, სწორედ ამ დრომდე უნდა შეძლოს დასავლეთმა რუსულ გაზზე უარის თქმა, ანუ როდესაც კრემლის შემოსავლები დააკლდება, ომს ვეღარ აწარმოებს, ისიც აღსანიშნავია, რომ რუსეთი ამ ომში გამოიფიტა, ამერიკული იარაღის საშუალებით უკრაინა ოკუპირებულ რეგიონებში ანადგურებს რუსულ პოზიციებს და დღე-დღეზე ხერხონის გათავისუფლებასაც დაიწყებს, ამის შესახებ თამამად საუბრობენ ბრიტანული ანალიტიკური ცენტრები. მათი თქმით, უკრაინა საშემოდგომოდ დაიბრუნებს ხერხონის რეგიონს. ამ ომში ნათლად გამოჩნდა დასავლური იარაღის უპირატესობა რუსულთან შედარებით. რუსეთი ტრახახობდა ზებეგითი, ულტრათანამედროვე იარაღის ფლობით, მაგრამ რეალობა სულ სხვა აღმოჩნდა. ამას წინა, თერაპიის პუტინი ირანის ხელისუფლებას უპილოტო საფრენი თვითმფრინავს სთხოვდა. სხვათა შორის, ამ შეხვედრაზე ერდოლანმა პუტინი საჭაროდ დაამცირა, შეხვედრაზე ალოდინა. თურქეთის ლიდერმა მას სამაგიერო გადაუხადა ადრინდელი დამცირების გამო. მკითხველს შევახსენებ, ერთი წლის წინ პუტინმა დაახლოებით ათი წუთი აცდევინა მას კრემლის მისაღებში. ეს ყველაფერი, ცხადია, დაწესებული ეკონომიკური სანქციების შედეგია, რაც გავლენას ახდენს ომის მსვლელობაზე უკრაინაში. რომ არა დასავლეთის მკაფიო მხარდაჭერა, უკრაინელებს გაუძნელებოდათ სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება. უკრაინა ერთგვარი დადასტურებაა რუსული აგრესიისა და ამის დავიწყებას დასავლეთი არ აპირებს. არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ რუსეთი არაპროგნოზირებადი ქვეყანაა და მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. არაა გამორიცხული, მან სანქციების გამო შური მოლდოვაზე ან საქართველოზე იძიოს, ამიტომ დასავლეთს დიდი გონიერება და ძალისხმევა მართებს, რომ რუსეთს ახალი ომის წარმოების საშუალება არ მისცეს. ამ მიმართებით საუკეთესო ნაბიჯი რუსულ ენერგორესურსებზე უარის თქმა იქნებოდა.

უხსოვარი

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ნენსი პელოსი ტაივანში ჩავიდა და პრეზიდენტ ცაი ინგენს შეხვდა. ვიზიტის გამო ჩინეთი კუნძულთან ახლოს საზღვაო და საჰაერო წვრთნებს მართავს. ტაივანის ხელისუფლებამ ჩინეთის სამხედრო წვრთნები მკაცრად დაგმო. მათი თქმით, აღნიშნული ქმედება ტაივანის ტერიტორიულ სივრცეში შეჭრაა და მის საჰაერო და საზღვაო ბლოკადაში მოქცევას ისახავს მიზნად. აღსანიშნავია, რომ პელოსი პირველი ამერიკელი მაღალჩინოსანია, რომელიც ბოლო 25 წლის განმავლობაში ტაივანში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა. ჩინეთმა აშშ გააფრთხილა, რომ პელოსის ტაივანში ჩასვლა საფრთხეს შეუქმნის ჩინეთის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, გააუარესებს ურთიერთობას გაშინგტონთან და სერიოზულ შედეგებს გამოიწვევს ჩინეთის მხრიდან.

ნატოს გენერალურმა მდივანმა უკრაინის პრეზიდენტთან მოლაპარაკება გამართა. იენს სტოლტენბერგმა ვოლოდიმირ ზელენსკისთან სამხედრო მხარდაჭერისა და მოკავშირეების მხრიდან დახმარების გაფართოების საკითხები განიხილა, მათ შორის - მარცვლენის ექსპორტი. სტოლტენბერგმა ხაზი გაუსვა ამ მხრივ მიღწეული შეთანხმების სრული რეალიზაციის მნიშვნელობას. „გისაუბრეთ სამხედრო მხარდაჭერის პრობლემებზე. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ნატო და მოკავშირეები უფრო მეტად და სწრაფად დაეხმარონ უკრაინას. გისაუბრეთ მარცვლენის პირველ პარტიკულ და ამ მიმართულებით შეთანხმების სრული რეალიზაციის მნიშვნელობაზე“, - დაწერა სტოლტენბერგმა „ტვიტერში“.

იმ შემთხვევაში, თუ აშშ რუსეთს ტერიტორიის დამფინანსებელ სახელმწიფოდ აღიარებს, მოსკოვი გაშინგტონთან დიპლომატიურ ურთიერთობებს გაწყვეტს. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა მარია ზახაროვამ განაცხადა „სენატორებისა და კონგრესმენების მიერ საკუთარი კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ ამგვარი გამოყენება, შესაძლოა, საშინელ საჩუქრად აღიქმებოდეს, რომელსაც შეუძლია აიძულოს რუსეთი იცხოვროს შეერთებული შტატების მიერ გამოვლილი წესებზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგის შესაბამისად“, - განაცხადა ზახაროვამ. მისივე თქმით, გაშინგტონი რისკავს საბოლოოდ გადაკეთოს ხაზი, საიდანაც უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს. „თუ გაშინგტონში წავლენ მოსკოვთან ურთიერთქმედების სრულ შეჩერებაზე, ჩვენ ამას გადავიტანთ“, - განაცხადა მან.

იტალიის დეპუტატთა პალატამ, 398 ხმით 20-ის წინააღმდეგ, ნატოში ფინეთისა და შვედეთის გაწევრიანების კანონპროექტის რატიფიცირება მოახდინა. დოკუმენტს ახლა საბოლოო მწვენი შეუქმნის სენატისგან სჭირდება. ცნობისთვის, ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის 30-ე წევრი ქვეყნის პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს.

„ოსნეზიდან“ გასულმა დაპუტატებმა მოძრაობა „ხალხის ძალა“ დააფუძნეს

„ქართული ოცნებიდან“ გასულმა ოთხმა დეპუტატმა - სოზარ სუბარამ, მიხეილ ყაველაშვილმა, დიმიტრი ხუნდაძემ და გურამ მაჭარაშვილმა საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალა“ დააფუძნეს. ისინი არ გამოირიცხავენ, რომ მოძრაობა პოლიტიკურ პარტიად გარდაიქმნას.

უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, საქართველო სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. მიუხედავად იმისა, რომ ომის საფრთხის მთავარი ფაზა ქვეყანამ უკვე გადალახა, ეს საფრთხე კვლავაც აქტუალურია, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის დასაცავად სრული მობილიზაციაა საჭირო. საზოგადოება უნდა იყოს სრულად ინფორმირებული და მობილიზებული იმისათვის, რომ ქვეყანას საბედისწერო ომი აარიდოს თავიდან, რაზეც პასუხისმგებლობა თითოეულ ჩვენგანს გვეკისრება.

სწორედ ამ პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, მივიღეთ გადაწყვეტილება, დაგვაფუძნოთ საზოგადოებრივი მოძრაობა - „ხალხის ძალა“, რომლის უმთავრესი მიზანი საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად საზოგადოების სიმართლით აღჭურვა იქნება.

ხალხი უნდა იყოს სრულად ინფორმირებული იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც პოლიტიკის კულისებში ვითარდება. ინფორმაციის ნაკლებობის პირობებში, საზოგადოება შეიძლება დარჩეს დაუცველი იმ საფრთხეების წინაშე, რომლებიც საქართველოში მშვიდობას და ქვეყნის დამოუკიდებლობას ემუქრება. საჭიროების შემთხვევაში, თუ დავინახავთ, რომ ხელისუფლება ომთან დაკავშირებულ წინგვეღარ უძღვება, არ გამოვრიცხავთ, საზოგადოებრივი მოძრაობა პოლიტიკურ პარტიადაც გარდავიქმნათ, -

აცხადებენ დეპუტატები და განმარტავენ, რომ „ხალხის ძალა“ დაფუძნდება როგორც საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ თანამოქალაქეებს, ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტარებს, საკრებულოს წევრებს და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს გააერთიანებს. მისი უმთავრესი მიზანი იქნება საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ჩვენი საზოგადოებრივი მოძრაობა - „ხალხის ძალა“ - გააკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ საქართველოს საბოლოოდ აარიდოს ომის საფრთხე, ხელი შეუწყოს პოლიტიკის შემცირებას, რაც სამართლიანობისა და სიმართლის გარეშე ვერ მიიღწევა, ქართულ საზოგადოებას აღუდგინოს ნდობა დასავლური ინსტიტუტების მიმართ, რისი

იან შველიძე

მთაბახადა
იან შველიძე



ნიმე ბოხოხია: ჩემთვის სამაგალიტო და ძალიან მოსახიბელი ნებისმიერი ადამიანი, ვინც იზრუნის უკეთესობისთვის

ლავა ხომიტი 593 50 82 69

სამართლის ბაკალავრი და საჯარო მართვის მაგისტრი, დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს მენეჯერის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი ნინო ბოხოხია ის წარმატებული ქართველი ახალგაზრდაა, რომელიც გულითადად ზრუნავს თანატოლებში მართვის სტრატეგიული დაგეგმარების და ეფექტური კომუნიკაციების უზრუნველყოფის გამოუმუშავებისთვის, ემოციური ინტელექტის განვითარებისთვის. ამისთვის თუ როგორ ირჩება, ამ ინტერვიუდან შეიტყობთ.



- ვიდრე თქვენს საქმიანობაზე ვისაუბრებდით, მკითხველს საკუთარი თავი წარუდგინეთ...

- მე ნინო ვარ და მჭერა ადამიანების უსაზღვრო პოტენციალის. 2021-2022 წლებში გახლდით საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაცემის, 2019-2021 წლებში კი მსოფლიოში ყველაზე დიდი საერთაშორისო ახალგაზრდული ორგანიზაცია „IESEC“-ის პრეზიდენტი საქართველოში. ვარ სამართლის ბაკალავრი და საჯარო მართვის მაგისტრი. ამ ეტაპზე მენეჯერის სამმართველოს უფროსად ვმუშაობ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოში.

- საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი იყავით გაცემის, როგორ იყო გზა წარმატებისკენ და აქვე თანმდევი კითხვა: რა შეგძინათ ამ სტატუსმა და ამ მმართველობის განახორციელებთ?

- გაცემის საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლობა ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მანდატი გახლდათ. ამ სტატუსმა, პასუხისმგებლობასთან ერთად, მომცა შესაძლებლობა, გამეზიარებინა ახალგაზრდობის სფეროში საკუთარი ცოდნა, ხედვა და გამოცდილება, ხელი შემიწყო ჩემი თანატოლების წინსვლა და განვითარებისთვის. ზოგადად, ნებისმიერი საქმის კეთებისას, ჩემი მიზანია, შევქმნა ახალი სტანდარტი, ვიყო ინოვაციური. ამ მანდატსა და სტატუსსაც მსგავსად მივუდექი, შევქმენი ხედვა, სტრატეგია, განვსაზღვრე ფოკუს მიმართულებები. მანდატის ფარგლებში განხორციელდა მრავალი პროექტი თან აქტივობა. თანმიმდევრულია თა და სისტემური მიდგომით, სხვა ახალგაზრდა მოხალისეებისა და პარტნიორების ჩართულობით, ეს პროცესი შეუფერხებლად წარიმართა. რთულია, მოკლედ ისაუბრო გაცილებულ საქმეებზე, თუმცა მაინც გამოვარჩევდი რამდენიმეს. შევქმე-

ნი პლატფორმა, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ ახალგაზრდას შეეძლო მოემართა ჩემთვის, გაეზიარებინა საკუთარი ხედვა თუ წუხილი, ჩემი მხრიდან კი თითოეულ მათგანს ვაძლევდი პასუხს და ახალგაზრდობის გზავნილებზე დაყრდნობით ორგანიზებას ვუწევდი ამა თუ იმ პროექტს. მანდატის ფარგლებში, ასევე დიდი ყურადღება დავუთმე ინტერპერსონალური უნარების განვითარებასა და ღირებულებებზე რეფლექსიას, მოვაწვევე არაერთი შემეცნებითი სასწავლო ტრენინგი, კიდევ უფრო გავააქტიურე საქართველოს პოზიციონირება საერთაშორისო ქსელში, ჩავრთე და მოვიწვიე სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა ელჩები და ლიდერები სადისკუსიოდ. მანდატის დასასრულს წლიური ანგარიშში წარვადგინე და დღეს ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მისი გაცნობა.

- ასევე იყავით მსოფლიოში ერთ-ერთი პრესტიჟული საერთაშორისო ორგანიზაცია „აისექს“-ის პრეზიდენტი, რაც ძალიან საამაყოა...

- „აისექს საქართველოში“ 5 წელი დავეყავი. სხვადასხვა დროს გახლდით ამ ორგანიზაციის მარკეტინგისა და პიარის, ფინანსებისა თუ ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტების ხელმძღვანელი, ბოლო ორი წლის განმავლობაში - ამ ორგანიზაციის ნაციონალური პრეზიდენტი. ალბათ, ყველაზე მეტი რამ მოკლე დროში სწორედ ამ ორგანიზაციაში ვისწავლე. განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩემთვის მართვის, სტრატეგიული დაგეგმარების, ეფექტური კომუნიკაციისა თუ ემოციური ინტელექტის უნარების განვითარება. „აისექსში“ მუშაობამ მომცა როგორც ქართველ ახალგაზრდებთან, ასევე უცხოელ მათთან მუშაობისა და მათი მართვის

ინტენსიური გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ „აისექს საქართველოში“ წარმომადგენლობა ჩემი მმართველობის პერიოდში პირველად გახდა გლობალური საუკეთესო მაგალითი კრიზისის მართვის პროცესში. ყველას ვურჩევ, თუ ეძებს საკუთარ თავსა და სწავრის პოტენციალის სრულყოფა, აუცილებლად გაწვევრიანდეს მსგავს ორგანიზაციებში.

- კარგი საუნივერსიტეტო განათლების გარდა, კიდევ რა არის საჭირო პროფესიაში წარმატებული რომ გახდეთ?

- ვფიქრობ, ნებისმიერ ადამიანს სჭირდება წარმატებისთვის როგორც განათლება, ისე შესაბამისი ინტერპერსონალური უნარების ფლობა, როგორცაა სტრესის მართვა, გამოსავალზე ორიენტირება, ეფექტური კომუნიკაციისა და სხვა. ამასთან, საჭიროა თვითშემეცნება და ღირებულებების სწორად გააზრება. ვფიქრობ, კომუნიკაციურად ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ერთობლიობა გვაძლევს ძლიერ იარაღს წარმატების მისაღწევად.

- არაერთ მნიშვნელოვან აქტივობებში მონაწილეობთ, მაგალითად: „არაფორმალური განათლება“, „ახალგაზრდობის პოლიტიკური ცნობების აქტიური ჩართულობა“, „ლიდერობა და გუნდის მართვა“...

- მჭერა, გაზიარებას დიდი ძალა აქვს, ამიტომაც ვარ სოციალურად აქტიური და ვცდილობ, რა რესურსებიც მაქვს, მაქსიმალურად გავუზიარო ჩემს გარემომყოფებს. ამასთანავე, თავადაც მუდმივად რაღაც ახალს ვსწავლობ, ამიტომაც, აქტიურად ვერთვები სხვადასხვა აქტივობაში, რათა სულ ვიზრდებოდე, ვვითარდებოდე, მეტს ვსწავლობდე, შესაბამისად, უფრო მეტ და ხარისხიან პროდუქტსაც ვქმნიდე და სხვებს ვუზიარებდე.

- რა როლს ასრულებს არაფორმალური განათლება ძლიერი ლიდერის ფორმირებაში და ამ მხრივ, რა გამოწვევები არსებობს სტუდენტებისთვის განათლების ხელმძღვანელობის კუთხით?

- ჩემი აზრით, ლიდერობა არჩევანია. ლიდერს ძლიერად ხდის დიდი სურათის დანახვის უნარი, დიდ სურათს კი ხედავს ის, ვინც ბევრს სწავლობს, იმეცნებს და თვალსაწიერს მუდმივად იფართოებს. არაფორმალური განათლება ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტია იმისთვის, რომ დავინახოთ დიდი სურათი და თეორიული ცოდნა შევავსოთ პრაქტიკული გამოცდილებით. განათლების სისტემაში საჭიროებს არაფორმალური განათლების ეფექტიან ინტეგრირებას სწავლების პროცესში, სწავლების მეთოდებისა

და მიდგომების გადახედვასა და მის მეტ მოქნილობას, რათა ახალი თაობები უფრო მეტად იყენებდნენ მზად ახალი გამოწვევებისთვის, ინოვაციურად უზასუნონ მათ.

- „ამ დიდი ოჯახის წევრობის გარეშე, ვერც სახელმწიფოებრივად გავიზრდებით და ბევრ ტალანტსაც დაგვარგავთ, ამიტომაც გვინდა ევროკავშირი, რათა გავიზარდოთ და უამრავი სიკეთე მივიღოთ“ - დაწერეთ ფეისბუქზე. მოდით, განვრცეთ ეს თემა...

- როგორც ინდივიდუალურ, ასევე სახელმწიფოებრივ დონეზე, იმისთვის, რომ განვითარდე და გაიზარდო, პირველ რიგში, უნდა ნახო დიდი სურათი და შეიმეცნო ახალი. მხოლოდ მაშინ შეძლებ მოცემულობის სწორად გააზრებას და მხოლოდ მაშინ, როდესაც სწორად გააზრებ მოცემულობას, შეძლებ ქმედითი და ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმას. ისინი, ვინც ამ დიდ ოჯახის წევრობის გარეშე, ვერც სახელმწიფოებრივად გავიზრდებით და ბევრ ტალანტსაც დაგვარგავთ. ამიტომაც გვინდა ევროკავშირი, რათა გავიზარდოთ, ჩვენი ფასეულობებიც გავაზიაროთ და უკანაც უამრავი სიკეთე მივიღოთ.

- აფხაზეთი ჩემთვის ის ემოციაა, რომელიც ცოცხლად არასდროს გამომიცდია, ის მიწაა, სადაც ვფხვარასდროს დამიდგამს და ის მოგონებაა, რომელსაც წარსულში არც არასდროს უარსებია, მაგრამ იმაზე უფრო რეალურია, ვიდრე ბევრი სხვა რამ ამ ცხოვრებაში“ - წერთ ერთ პოსტში და ეს გრძობა, ცხადია, მის მომავალზეც გაფიქრებთ. ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია რა ფაქტორებზე იქნება დამოკიდებული?

- მომავალზე ფიქრი ბადებს კითხვებს, რომლებზეც პასუხები, საშუალოდ, ჯერ არ გავაჩნია. ხვალ რომ ვიბრუნებდეთ ოკუპირებულ ტერიტორიებს, გვაქვს თუ არა სტრატეგია და გეგმა, როგორ ვაპირებთ ხილდების შენებას საოკუპაციო ხაზს იქით და აქეთ მცხოვრებ მოსახლეობას შორის? როგორ ვაპირებთ თაობათა შორის დიალოგს, როცა დღევანდელი მოცემულობით გვაქვს ლიბერალური ბარიერი, როცა თაობათა ცვლასთან ერთად, მიტრდება ოკუპირებულ ტერიტორიებთან ემოციური კავშირი? რატომ არ ეთმობა მეტი დრო ოკუპაციის საკითხებს როგორც სასკოლო, ასევე საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში? მე ეს კი-

თხვები მაწუხებს და ვფიქრობ, მომავალი ბევრად უფრო ნათელი და პოზიტიური იქნება, თუ ამ კითხვებს დავსვამთ და პასუხების გაცემასაც რაც შეიძლება მაღე დავიწყებთ.

- ადამიანები, რომელთა არსებობამ და მაგალითმა ძალიან შეგმატათ?

- ჩემთვის სამაგალიტო და ძალის მომცემია ნებისმიერი ადამიანი, რომელიც იბრძვის უკეთესობისთვის და ამ პროცესში სირთულეებისა თუ წინაღობების მიუხედავად, ინარჩუნებს კეთილშობილებას. არ არის აუცილებელი შორს გახედვა და იდეალების სხვაგან ძებნა, მსგავსი ადამიანები მრავლად არიან ჩვენს გარემოში. ჩემთვის, ჩემი ოჯახი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოტივატორი და საუკეთესო მაგალითია არდანიების, მშვიდობიანი ბრძოლისა და კეთილშობილების.

- ყველაზე მეტად რას აფასებთ ადამიანებში?

- კეთილგონიერებას, რასაც მოვიხატავთ, როგორც სიკეთისა და გონიერების ერთობას. არც მხოლოდ გაუზრუნველი სიკეთე ვარა გონის გარეშე და არც გონიერება - სიკეთის გარეშე. ამიტომაც ვცდილობ, თავადაც კეთილგონიერების შენარჩუნებასა და გარემოში კეთილგონიერი ადამიანების შემოკრებასაც.

- ლიტერატურა, ხელოვნება და თქვენ... რა გიტაცებთ, რა მოგწონთ და რას კითხულობთ?

- ისევე, როგორც ლიტერატურა, ხელოვნებაც ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ნეგატივითა და სტრესით დახუნძლული გარემოსგან გასაქცევად ხატავს და წერს ჩემი ერთგვარი თავშესაფარი. ამ ბოლო პერიოდში ორგანიზაციული მართვისა და განვითარების თემაზე სამეცნიერო ნაშრომების კითხვით გავართე თავი, თუმცა, მხატვრული ლიტერატურა ჩემთვის განსაკუთრებულად ძვირფასია. იმ ადამიანებს მივუკუთვნებ, ვისაც ყველაფერი აინტერესებს და ცუდ-ისივანაც და კარგისგანაც სწავლობს. ამიტომაც, როცა საქმე ლიტერატურას ეხება, რაც ხელში მხვდება, ყველაფერს ვკითხულობ. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, მაქვს ჩემი რჩეული მიმართულებაც - ბერძნული ფილოსოფია და ყველას ვურჩევ ეზიაროს მას. რაც კი რამ დაწერილია და რაც კი რამ აწი დაიწერება, ყველაფერი თავმოყრილი ბერძნული ფილოსოფიაში.

- დაბოლოს, დასვით თქვენთვის სასურველი კითხვა და უპასუხეთ...

- ცხოვრებისეული მოწოდება: „იყავი ის ცვლილება, რომელიც გასურს, დაინახო საშუალოში“.

უკრაინა

რუსეთთან ომის დაწყების შემდეგ, უსახლკაროდ დარჩენილი უკრაინელების რაოდენობამ 3,5 მილიონს გადააჭარბა. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, ქვეყანაში რუსეთის შეჭრიდან, მინიმუმ 140 000 საცხოვრებელი კორპუსი განადგურდა ან დაზიანდა. როგორც ცნობილია, რუსეთი უკრაინაში 24 თებერვალს შეიჭრა.

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის განცხადებით, 24 თებერვლიდან 3 აგვისტომდე პერიოდში, უკრაინულმა ძალებმა 41 350 რუსი ჯარისკაცი მოკლეს. მათივე ცნობით, უკრაინელმა დამცველებმა გაანადგურეს სტრის 1 774 ტანკი, 4 022 ჯავშანტექნიკა, 939 საარტილერიო სისტემა, 259 ზაღობური ცეცხლის სარაკეტო სისტემა, 118 საჰაერო თავდაცვის სისტემა, 223 თვითმფრინავი, 191 ვერტმფრენი, 739 ოპერატიული-ტექნიკური უპილოტო საფრენი აპარატი, 174 ფრთოსანი რაკეტა, 15 გემი/ნავი, 2 922 ერთეული სატრანსპორტო საშუალება და საწვავის ავზი, ასევე 82 ერთეული სპეცტექნიკა.

სავარაუდოდ, ჩვენ ვიხილავთ მოქალაქეების გაზრდილ მცდელობებს, რომ ხერხონი და მიმდებარე ტერიტორიები დატოვონ, რადგან საომარი მოქმედებები გრძელდება და საკვების დეფიციტი იქმნება, - ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ სადაზვერვო ანგარიშშია აღნიშნული. უწყების ცნობით, რუსული ძალები ანტონოვსკის ხიდზე ახლად შექმნილ

საბორენ გადასასვლელს ჯარების მოძრაობისა და მომარაგებისთვის გამოიყენებენ. „სამხრეთ უკრაინაში, ხერხონის ოლქში რუსულ მატარებელზე თავდასხმის შემდეგ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ სარკინიგზო ხაზი ფუნქციონირებდეს. სარკინიგზო ხაზს რამდენიმე დღეში შეაკეთებენ, თუმცა ის რუსული ძალებისთვის და ყირიმის ხერხონისკენ მათი ლოგისტიკური მარშრუტისთვის დაუცველი დარჩება“, - ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველი ალექსეი არესტოვიჩი აცხადებს, რომ უკრაინას აღჭურვილობა „კატასტროფულად არ ჰყოფნის“. მისი თქმით, უკრაინის შეიარაღებული ძალები არ არის სრულყოფილად მომარაგებული და აღჭურვილი რუსეთისთვის ზიანის მისაყენებლად. არესტოვიჩმა ასევე განაცხადა, რომ სრულფასოვანი და ეფექტური შეტევისთვის არ გააჩნიათ საკმარისი მძიმე ტექნიკა, ამასთან, ბოლონეთის მსგავსად, უკრაინისთვის დახმარების ხელი სხვა დასავლურ სახელმწიფოებსაც რომ გაუწყვდიანთ, უკრაინელები უკვე ვლადივოსტოკში იქნებოდნენ.

უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა 1054 დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს. ინფორმაციას უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე კირილ ტიმოშენკო ავრცელებს. აქვე აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ხერხონის ოლქში 53 დასახლებული პუნქტია დეოკუპირებული. 1054 დასახლებული პუნქტი დეოკუპირებულია. რუსული ოკუპ-

აციისგან გაათავისუფლებულ ყველა ტერიტორიაზე გრძელდება აღდგენითი სამუშაოები“, - განაცხადა ტიმოშენკომ. მისი თქმით, უკრაინისა და სომხის ოლქებში აღდგომითი მოხალეობა აგრძელდება ინფრასტრუქტურის, დაზიანებული ობიექტებისა და კერძო სახლების აღდგენას.

რუსეთმა უკრაინას 108 მლრდ აშშ დოლარის ზარალი მიყენა. აღნიშნულია კიევის ეკონომიკის სკოლის ანგარიშში. ინფრასტრუქტურის აღსადგენად სულ მცირე 185 მლრდ აშშ დოლარი იქნება აუცილებელი. ყველაზე დიდი ზარალი საცხოვრებელ სახლებს მიაღწია - დაზიანებული ან დაანგრეულია 129 ათასი სახლი. უკრაინის თავდაცვის სამინისტრო 140 ათას დაანგრეულ საცხოვრებელ სახლზე საუბრობს. რაც შეეხება ინფრასტრუქტურისთვის მიყენებულ ზარალს, ის 31,6 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. საერთო ჯამში, კიევის ეკონომიკის სკოლის შეფასებით, 24 თებერვლის შემდეგ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაანგრეს ან დაზიანეს 338 საწარმო, 43 ათასი ერთეული სოფლის მეურნეობის ტექნიკა, 1991 მაღაზია, 511 ადმინისტრაციული შენობა, 18 აეროპორტი, 105 ათასი მსუბუქი ავტომობილი, 764 საბავშვო ბაღი, 634 კულტურული დაწესებულება, 27 საგაერო ცენტრი და ნავთობის 28 ბაზა. ამასთანავე, უკრაინის მთავრობის შეფასებით, რუსეთის აგრესიის შედეგად უკრაინისთვის მიყენებული ზარალი გაცილებით დიდია და 600 მლრდ აშშ დოლარს აღწევს.

მომზადდა ნაირა ვუტაპარამ

«სიტყვის კლას მეტ მნიშვნელობას პანიჭა, ვიდრე მკლავისას»

ანრი ფუტყარაძე პირველი შუახვევლია, რომელმაც 17 წლამდე ასაკის ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. იტალიიდან დაბრუნებისთანავე, წარმატებულ მოჭიდავეს მშობლიურ შუახვევში შეხვედრა გაუმართეს. ანრის სპორტულ კარიერაზე ისაუბრეს საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გიორგი დავითაძემ, მოადგილე გიორგი კაკელიძემ, კომისიის თავმჯდომარეებმა ფატი ჭალაიძემ, ზაზა დავითაძემ, თენგიზ ივანაძემ, ურუნალიტმა ოთარ ცინარიძემ. ანრიმ შეხვედრის ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა და მომავალ გეგმებზე ისაუბრა. იმავე დღეს სპორტსმენს კვიანძრეშიც შეხვედრენ. სოფლის საჯარო სკოლის დირექტორმა თამაზ დიასამიძემ, პედაგოგმა რომან დიასამიძემ, ახლოებელმა რევაზ გუნდაძემ მის მიღწევაზე გაამახვილეს ყურადღება. შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ ანრის მადლობის სიგელი გადასცა



დე და ეროვნული ჰიმნი მსოფლიო ჩემპიონის სახელით ავახმინაო. ოლიმპიადის მონაწილეობისთვისაც თადარიგს ვიჭერ.

- რომელი საგანი გიტაცებთ?

- მათემატიკა. ხშირად რთული ამოცანის ან განტოლების ამოხსნა საჭიროა ხალიჩაზე მიღწეული წარმატებისთვის გამიტოლებია.

- წიგნების საკითხავად დრო თუ გრჩება?

- როგორ არა. დეტექტივები, განსაკუთრებით, ქართული მწერლების რომანები, მოთხრობები მიყვარს. ერთი კვირით სოფელში ვიყავი და კვიანძრის ეთნოგრაფიულ მუზეუმში შევიარე, რომელსაც ბაბუა ხელმძღვანელობს. მუზეუმში არსებული წიგნიდან ჯემალ ჯაყელის «მუჰაჯირი» შემირჩია წასაკითხად, რომელიც ჩვენი კუთხის მძიმე წარსულზე მოგვითხრობს. მუჰაჯირი, უცხოეთში გადახვეწილი ადამიანი კვიანძრისკენ მრავლად ჰყავს.

- პედაგოგი მშობლების წვლილზეც გვიხსენი...

- ისინი გვერდით მიდგანან, მატერიალურად მეხმარებიან და სულიერად მძლიერებენ. უდიდესი სტიმულია ჩემთვის, როცა შეჯიბრებაზე უცხოეთში მიმავალს დედის ლოცვა მიმყვება. მრავალჯერ მინახავს ისინი ჩემს ოთახში იმ კუთხისთან მდგომნი, სადაც ჩემი წარმატებების ამსახველი თასები, მედლები, მადლობის სიგელები და დიპლომები განთავსებული.

- რომში გამარჯვება ვის მიუძღვნით?

- ჩემს მეგობრებს, მწვრთნელებსა და ოჯახს. არ მინდა სხვებს გული დაუწყვიტო, მაგრამ ამ ეტაპზე უფროს მეგობრად, ყველაზე დიდ მესაიდუმლედ მაინც მწვრთნელ უჩა შავაძეს მივიჩნევ.

ნეგ. იგი ნაკლებ მიმანიშნებს, მიღწევასაც ჩემთან ერთად ზეიმობს. ჩვენ შორის სულ რაღაც 13-14 წელია სხვაობა. შევირდი და მასწავლებელი უმცროსი და უფროსი მეგობრები ვართ და ასე დავგრძელებ.

- აჭარის უფროსი თაობის მოჭიდავეებთან რა ურთიერთობები გაქვთ?

- პირველ რიგში, ბატონ რამაზ ზოიძეს გამოვარჩევდი, უფროს ასაკობრივ ჯგუფში - ევროპის ვიცე-ჩემპიონს გელა ბოლქვაძეს. მათ გვერდით არიან ისეთებიც, რომლებმაც რეგიონი, მშობლიური ხელო საუკეთესო მიღწევებით ასახველეს. აჩიკო ბოლქვაძე ჩემი უახლოესი მეგობარია. ოლიმპიურ პრიზიორებსაც შეხვედია და გაცეცანი. ალბათ, შმაგი ბოლქვაძეს, ლერი და ოთარ აბულაძეებს უფრო მეტად დავუახლოვდები. შმაგი ბოლქვაძემ უკვე მასტერკლასიც ჩამიტარა.

- ახლოვდება პარიზის ოლიმპიადი. რა გზა უნდა გაიარო ლიცენზიის მოსაპოვებლად?

- 3 თვეში უფროს ასაკობრივ ჯგუფში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება. ამ ასპარეზობაზე გამოსასვლელად მზადდება ვიწყებ. უფლის ნებით, შესაძლებლობის მაქსიმალური მობილიზებით, ვფიქრობ, ამ ჩემპიონატზე წარმატებას მივაღწევ, შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატზე პრიზიორებს შორის უნდა გავიდე, რომ ოლიმპიური ლიცენზია მოვიპოვო. გარდა ამისა, რამდენიმე საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირი გაიმართება. თუ ლიცენზია მოვიპოვე, ძალღებს არც პარიზის ოლიმპიადაზე დავზოვავ. სამოცდაშვიდეკლოგრაშიან კატეგორიაში შემიძლება გამოვიდე. მაქვს იმის ნებისყოფა, რომ ოთ-

ხი კილოგრამი დავიკლო.

- საქადაო ხალიჩაზე წარმატებულ სპორტსმენს, ქუჩაში ჩხუბში ძალა თუ მოვისინჯავთ?

- არა. მეგობრულად ჩავრეულვარ. ფიზიკურ ძალას, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ვფიქრობ, არც მომავალში გამოვიყენებ. სიტყვის ძალას უფრო მეტ მნიშვნელობას ვანიჭებ, ვიდრე მკლავისას. ვერ ვიტან, როცა ადამიანებს უსაფუძვლოდ ჩავრავენ.

- სმონსორი ხომ არ გყავთ?

- ჯერჯერობით არა, თუმცა მოლოდინი, რომ დამეხმარებიან, მაქვს. მარეთის ხეობას, მშობლიურ შუახვევს მრავალი წარმატებული ბიზნესმენი ჰყავს, თუნდაც ჩემი მოგვარეები...

- რომში რომ გამოდიოდით, ვინ დაგაფინანსებდა?

- საქართველოს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ფედერაციამ.

- მშობლიური კვიანძრეები ცეკვა-სიმღერის ოსტატთა სოფელია. სპორტსმენს ხელოვნებასთან რა წილნაყოფა გაქვთ?

- სანამ ჭიდაობის სექციაში ჩავეწერებოდი, ორი წელი ცეკვის სტუდიაში ვიყავი ჩართული, მაგრამ ხელოვნებას სპორტი ვაძვირებ. ერთხელაც არ მქონია შემთხვევა, რომ სიმღერაში ჩავრთულიყავი.

- ალკოჰოლთან და თამბაქოსთან რა დამოკიდებულება გაქვთ?

- ჩემგან შორს ერთიც და მეორეც. არ გავყარებვივარ და მგონი ასე დარჩება. სპორტი, ალკოჰოლი და სიგარეტი თანხვედრაში ვერ მოდის.

- ცნობილი მოჭიდავეები იმ სპორტსმენს მოჭიდავედ ვერ აღიარებდნენ, რომელსაც ყური გატყავდა?

- გასული წლის მსოფლიო ჩემპიონატზე იუნორებს შორის ნახევარფინალში თურქ სპორტსმენს ნათა ქარას ვხვდებოდი. ეს ორთაბრძოლა ჯერჯერობით ყველაზე წარმატებულად მიმაჩნია, რასაც ყურის გატყევა და მედალი მოჰყვა. ამ დღიდან მოჭიდავედ მოვიხატე. ის წარმატება და რომში ახერხებიაწინელი დაულ მამადვის დამარცხება ერთმანეთს უტოლდება.

- რომში მოპოვებული გამარჯვება პირველად ვინ მოგლოცათ?


- მეგობრები - გიორგი შავაძე, ანრი დავითაძე და რატი ხოზრვაძე პირველები იყვნენ. არც ის გულშემატკივრები მავიწყდება, რომლებიც დარბაზში იყვნენ და მაშინვედნენ. ზღვა ემოცია მოდიოდა.

- ცრემლები ემოციით იყო გამოწვეული თუ...

- ტაბლოზე ანგარიში 3:1 რომ დავიქსირა და მსაჯე გამარჯვების ნიშნად ხელი ამიწია, იმ მომენტში არ ვიცი, რას ვაკეთებდი, სად დავფრინავდი. ეს ემოცია პირველი იყო და იმდენი, მომავალშიც განმეორდება. ჩემი ოცნება უფროს ასაკობრივ ჯგუფში მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონების ტიტულის მოპოვებაა.

უვნებელი სურსათი - ჯანმრთელი ადამიანი

ნოდარ ზოსიმე ხუთ ათეულ წელიწადზე მეტხანს იმუშავა სოფლის მეურნეობის დარგში. სპეციალობით ვეტერინარია, ამჟამად სოფელ ოქრობილაურის ცხოველთა სასაკლაოზე სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირის სტატუსით ვეტერინარულ-სანიტარიულ ზედამხედველობას ასორციელებს. მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.



ობით წარმოიქმნება ცოცხალი ორგანიზმის უკრებელი და ქსოვილები. სწორედ ეს სრულფასოვანი ცილები (ხორცი) მონაწილეობენ ორგანიზმის იმუნობიოლოგიურ პროცესებში. სასაკლაო ვალდებულია დაწეროს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა. ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების კვალდაკვალ, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ და აჭარის რეგიონალურმა სამმართველომ გასცეს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტებში ცხოველთა სასაკლაოების მოწყობაზე.

როლი აქვს თანამედროვეობაში?

- შუახვევის მუნიციპალიტეტში ყველა იცნობს სოფელ ოქრობილაურის მცხოვრებ ოსმან ზოიძისა და ნათელა ივანაძის ოჯახს. ისინი მამაპაპიდან მოყოლებული, მსხვილი რქოსანი პირუტყვის მომწეებით არიან დაკავებული. სწორედ ამ ოჯახზე შეაჩერა ყურადღება სურსათის ეროვნული სააგენტოსა და აჭარის რეგიონალური სამმართველოს ხელმძღვანელობამ. მათი მითითებით, სტანდარტული ინსტრუქციების შესაბამისად, სათანადო ინფრასტრუქტურის და ჰიგიენის პრაქტიკის შექმნით, მოეწყო სასაკლაო ინდემწარმის სამმართველო ფორმით, რომლის დირექტორია ოჯახის უფროსი შვილი ივარი ზოიძე. სასაკლაოს ინფრასტრუქტურა, იატაკი, კედლები, ჭერი, ფანჯრები გამძლე, წყალგაუმტარი, შეწვევის უნარის არაქონე მასალითაა გაცეხებული. ცხოველების შემოყვანა იდენტიფიკაციის რეგისტრაციის პროგრამის შესაბამისად - საყურენიშნით ხდება, ასევე დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომი ვეტერინარული ზედამხედველობა, სამაცივრე სისტემით გაცეხება-გაგრილების შემდეგ სამაცივრე მანქანა-რეფრეჟერატორის მეშვეობით მომხმარებელამდე მიტანა. ამ სისტემის დანერ-

გვა ხელს შეუწყობს სურსათის მწარმოებლებს ევროკავშირის ქვეყნების შიდა ბაზარზე ინტეგრირებაში. 60-70 წლებში სურსათის უვნებლობას ორი მეთოდით ვსაზღვრავდით: ორგანოლექტიკური და მიკროსკოპული. გვქონდა ხორცსაკონტროლო სადგურებიც, რათა გამოგვეთიშა ადამიანებზე გადამდები დაავადებები, ძირითადად, ციმბირული წყლული, ბრუცელაზი, ტუბერკულოზი, თურქული ქოთაო, ინვაზიური სინოზი, ტრიხინელოზი, ხინოკოზი, ფასციოლოზი.

- რა ვალდებულებები ეკისრება სასაკლაოს?

- როგორც მცენარეული, ისე ცხოველური წარმოშობის პროდუქციის წარმოება წარმოგვიდგება როგორც სასურსათო ჯაჭვი და ამ ჯაჭვის ნებისმიერი რგოლი საწარმო პროცესია. ამ პროცესებზე დამყარებული კონტროლი საშუალებას გვაძლევს, დადგინდეს, სად და რომელ ეტაპზე წარმოიშობა სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული პრობლემა და საფრთხე. სწორედ ასეთი მდგომარეობა გავლავს, სურსათის უვნებლობის მართვის თანამედროვე კონცეფციის საფუძველი. სურსათის უვნებლობის მართვის პრევენციული მიდგომის სისტემის შემოღება საშუალებას გვაძლევს,

სურსათში მინიმუმამდე დავიყვანოთ ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკური საფრთხე, აგენტების ის დონე, რომელიც არ არის საზიანო ადამიანის ჯანმრთელობისთვის. თუ გვეცოდინება საფრთხე, გაკეთდება მისი ანალიზი, გვეცოდინება ის კრიტიკული საკონტროლო წერტილი, საიდანაც შეიძლება საფრთხე წარმოიშვას, შესაძლებელი იქნება მოხმარებელთა ჯანმრთელობის ეფექტური დაცვა. ეს სისტემა შემუშავდა აშშ-ში, შემდეგ კი გავრცელდა და დამკვიდრდა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში. სწორედ ასეთ პროცესებზე ინტეგრირებული მიდგომა და პერმანენტული პრევენცია შესაძლებლობას გვაძლევს, ფერმიდან სუფრამდე მივიტანოთ უვნებელი პროდუქტი. ურიგო არ იქნება აღვნიშნოთ, რომ საოფელ ოქრობილაურის ცხოველთა სასაკლაო იქცა საკონსულტაციო ცენტრად, აქ უშუალოდ პრაქტიკოსი ინდივიდუალური მეწარმეები იღებენ გამოცდილებას, თუ რა რაოდენობის უხეში, წვნიანი კონცენტრირებული საკვები უნდა მიეცეს მოზარდს, რომ მისმა ცოცხალმა წონამ 18-24 თვის განმავლობაში მიაღწიოს 200 კგ-ს და მეტს, რაც განაპირობებს ხორცის წარმოების ზრდას და მეტი შემოსავლის მიღებას.



ნიჭი უკვალოდ რომ არ დაიკარგოს

ოთარ ცინცაძე 599 85 21 14

შორენა აბუსელიძე-არქენაძე და ზვიად არქენაძე ხელოვნები არიან. ზვიადმა ჯერ ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭათის წმინდა აბუსერიძის ტბელის სასწავლო უნივერსიტეტში ხელოვნებათმცოდნის სპეციალობას დაეუფლა. შორენა ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში მიღებული თეორიული ცოდნას დასწავლა. შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაკლავეთში გაზრდილ გოგონას ცეკვა და სიმღერა ბავშვობიდანვე იტაცებდა. ლობჯანიძის ნოდარ ფევაძის, იაკო და პაატა ჭურჭვიძეების, ქორეოგრაფების მურმან, ზაზა ბერიძეების, შუახვევის კულტურის ცენტრთან არსებული ქართული ფოლკლორული ანსამბლ «ნაის» სამხატვრო ხელმძღვანელ მარინა ფევაძის სახით კარგი წინამორბედები ჰყავდა.

ხელოვნებას ბავშვობიდანვე ეტრფოდა ზვიადი. მისი თანასოფლებელი ჭიბონსა და გარმონზე ხალხური მელოდიების, ცეკვების უბადლო შემსრულებლები იყვნენ. აღიარებული მე-ჭიბონე იყო სულიკო (ვასო) ირემიძე, მის გზას ახლა წარმატებით აგრძელებს თემურ არქენაძე. იგი ჭიბონებსაც ამზადებს და მელოდიებსაც საუცხოოდ ახმიანებს.

ბაბუა მუხამედი სოფელში კი არა, აჭარაში ცნობილი პიროვნება იყო. მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება ჰქონდა. ფადიმე ბერიძისთან ერთად, 7 ვაჟი და ერთი ქალიშვილი აღზარდა. მათგან მხოლოდ მამიდაა გარდაცვლილი, 7-ივე ვაჟი აქტიურ ცხოვრებას აგრძელებს. მამიძემ ნაბოლარაა. ბაბუასა და ბებუას შთამომავლები 115-ზე მეტნი ვართ. ერთი ვაჟი ამ დღეებში შემოგვემატა. სოფელში ქორწილი, მამითა (ნადი) რომ იქნებოდა, ბაბუა შვილებს შემოიკრებდა, ვასო ირემიძე ჭიბონს აახმიანებდა და... დიდხანს არ უცოცხლია, 59 წლისა

გარდაიცვალა. სულ იმაზე ოცნებობდა, რომ ქართული ცეკვა-სიმღერის მიმდევრები მრავლად ყოფილიყო. ბევრმა და მათ შორის მე და შორენამ, ღირსეულ წინაპარს გულისწილი ავუსრულეთ. არც ამას დავცვრდი და ქართული სიმღერებს ვიღებ - გეგასა და გუგას ვასწავლით. გეგა დანდალოს საჯარო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეა, გუგა - საბავშვო ბაღის აღსაზრდელი, - გვითხრა ზვიადმა.

იმ წლებში ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელს შორენას თანახმობელი, სოფელ წაბლანის მკვიდრი ერასტი ველიძე ხელმძღვანელობდა. ზვიადისა და შორენას სიყვარულის ამბავი მის ყურსაც მისწვდა... წყვილს ოჯახის შექმნა მან პირველმა დაულოცა.

- ჩემსა და ზვიადს შორის ასაკობრივი ზღვარი 40 წელზე მეტია, მაგრამ მას უმცროს მეგობრად, კარგ ხელოვანად, აღსაზრდელად მივიჩნევ. მე ბათუმში ვცხოვრობ და ვსაქმიანობ, ზვიადი და შორენა დანდალოსა და ცხომარისის ადმინისტრაციული ერთეულების რამდენიმე სკოლაში ხელოვნების მასწავლებლად მუშაობენ. სოფელში მამისეულ კერას არ ვცვრანებ. აქ მოსვლა ამ წყვილის გამოც მიხარია. შორენა კარგი მეოჯახე, შვილების მოსიყვარულე დედა, პედაგოგი და მეზობელია. მისი წვლილი ყველაზე დიდია იმაში, რომ გეგა და გუგა ამ ასაკში ასე ლაღად, ლამაზად მღერაინ დედის თანხლებით «სიმღერას დანდალოზე», - გვითხრა აჭარის ქართული ჭიბონის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, სპორტის ოსტატმა ილია არქენაძემ.

ზვიადმა და შორენამ სოფლის უხუცესებისგან მოისმინეს, რომ დანდალოს მეზობელი სოფლის მოსახლეობის მკვიდრი გურამ ბერიძე გარმონზე ასრულებდა «სიმღერას დანდალოზე». წუთისოფლიდან ნადრევედ წასულმა ხალხურმა მთქმელმა და შემსრულებელმა თავის დროზე ტექსტისა და მელოდიის ჩაწერა ვერ მოახერხა. ზვიად და გოჩა არქენაძეებმა ორივე



მოიძიეს და პირველად ზვიადის ოჯახში ფანდურზე იმღერეს. განახლებულ სიმღერას ხინჯი ვერ უბოვებს ილია და პეტრე არქენაძეებმა, აჭარაში პოეტებმა, ამჟამად ქობულეთში საცხოვრებლად გადასულმა გურამ არქენაძემ, ჭიბონების მკეთებელმა ოსტატმა თემურ არქენაძემ.

დახვეწილი ტექსტი, დამუშავებული სიმღერა დანდალოელმა რაულ ცინცაძემ ჩაწერა და სოციალურ ქსელში განათავსა. იმ დღიდან დიდი დრო არაა გასული. გეგა და გუგა არქენაძეების, მათი მშობლების მიერ შესრულებულ სიმღერას 2 მილიონზე მეტი მნახველი ჰყავს.

შორენა და ზვიადი სოფელში ცხოვრობენ. სოფელს შეალიეს მთელი ძალა და ენერჯია მათმა მშობლებმა. ოსმანის მეუღლეს შრომისმოყვარე ქალბატონი, დარჩიძეული ცეცხლადების შთამომავალია. ზვიადისა და ერთი ქალიშვილის მშობლებმა, ყველაფერი გააკეთეს, რომ შვილებს ცხოვრებაში თავისი ადგილი ეპოვათ, ახლა კი ყველაზე მეტად გეგასა და გუგას მომავალი აღვლევთ.

- სოფელი ცარიელდება, საჯარო სკოლაში მოსწავლეთა კონტინგენტი მინიმუმამდე დასულა, პედაგოგები მაქსიმუმს აკეთებენ, რომ კლასში მყოფ თითო-ორი მოსწავლე სათანადო ცოდნა მისცენ. სოფელში საბავშვო მუსიკალური სტუდიები არ გვაქვს, არა და, მათ გარეშე ჩემი შვილიშვილების ნიჭი უკვალოდ დაიკარგება. ყველა, ვინც გეგასა და გუგას სიმღერები მოისმინა, აღფრთოვანებულია. იქნებ თქვენი გაზეთიც მანათობელ ლამპარად იქცეს იმ ბავშვების გზაზე, რომლებიც ქართულ ფოლკლორში პირველ ნაბიჯებს დგამენ, - გვითხრა ოსმან არქენაძემ.

ქვეყანას ქველმოქმედი, მომავალ თაობაზე მზრუნველი ადამიანები არ აკლია. პირველ რიგში, ხელოვნების ქურუმები უნდა დაინტერესდნენ გეგასა და გუგას ნიჭიერებით, შემდგომ ისინი, ვინც მათ მატერიალურად დაეხმარება. ბიჭები თანადგომის მოლოდინში არიან.

თამაზ ირემიძის სახლის უკვდავსაყოფად

ოთარ ცინცაძე 599 85 21 14

ლორჯომის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში კულტურის სახლი იმ წლებში იყო, როცა თემის ხელმძღვანელი თამაზ ირემიძე იყო. მას შემდეგ 25 წელზე მეტია გასული, შენობა თავის დანიშნულებას ასრულებს. იყო საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნა,

რომ კულტურის კერას თამაზის სახელი მიენიჭებოდა. ამ დღეებში გამართულ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე ლორჯომის კულტურის სახლისთვის თამაზ ირემიძის სახლის მიწისთვის თაობაზე იმსჯელეს. საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ ინიციატივას და შესაბამის პროექტს მხარი დაუჭირა.



პროექტებს დააფინანსებს

ოთარ ცინცაძე 599 85 21 14

შუახვევის მუნიციპალიტეტში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია «საერთაშორისო შრომის სოლიდარობის ამერიკის ცენტრის საქართველოს წარმომადგენლობის» ქართული ოფისის რეგიონალური გენდერული სპეციალისტი პაატა ბელიძე, პროექტის კოორდინატორი სალომე ქაჯია, ცენტრის იურისტი ნათია გველესიანი და არასამთავრობო ორგანიზაცია «საორსას» დამფუძნებელი ლია ფუტყარაძე.

შეხვედრა პროექტის - «ქალთა ჩართულობა შრომის ბაზარზე» ფარგლებში გაიმართა და მისი მიზანი ადგილობრივი ქალების განათლებისა და დასაქმების საჭიროებების გამოკვეთა და სამომავლო თანამშრომლობის გზების დასახვა იყო.

აღინიშნა, რომ ცენტრის წარმომადგენლობა ახალ პროექტებს დააფინანსებს, შუახვევის მუნიციპალური გენდერული საბჭოს ინიციატივით კი მიმდინარეობს მუშაობა წიგნზე, რომელიც შუახვევი წარმატებული ქალების საქმიანობას ეძღვნება და ცენტრი მის გამოცემას გაუწევს თანადგომას.


ნაკლებად სწრაფი აღზრდის პოპულარიზაციისთვის...

ზინკია ჩანჭავაძე 579 25 25 72

დოლოვანი, წონიარისი, ზვარე, ჭინკაძეები - ეს არასრული ჩამონათვალია იმ სოფლებისა, სადაც მოგზაურობა უფრო საინტერესო და სახალისო ხდება. ქედის მუნიციპალიტეტში ულამაზეს ბუნებაში დროის უკეთ გატარებისთვის შესაფერისი გარემოა მოწყობილი. ვიზიტორებს შეუძლიათ მდინარეებში - ნავით, ხოლო ტყეში ცხენით გასეირნონ. ასევე, ჩანჭქერებთან მოწყობილია საქანელები და სხვადასხვა გასართობი. სოფელ დოლოვანში, ცენტრალური საავტომობილო გზიდან რამდენიმე კილომეტრში ულამაზესი ჩანჭქერია, რომელიც 50 მეტრი სიმაღლიდან ეშვება. ჩანჭქერთან მისვლა მაღალი გამავლობის ავტომობილითაა შესაძლებელი, აგრეთვე კვადროციკლითაც. მოგზაური გზად, ველური ბუნების ნახვასთან ერთად, მდინარეებსა და ჩანჭქერებსაც მოინახულებს, ნაკლებად ცნობილი ადგილები ვიზიტორთა აღფრთოვანებას იწვევს. მოგზაურობას ქედაში შპს «ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი» უზრუნველყოფს.

მაქსიმალურად ვართ ამ კუთხით ჩართულნი. სხვადასხვა ტურისტულ კომპანიას შევთავაზებთ ადგილებს, რომლებიც აუცილებლად გახდება საინტერესო როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე - ვიზიტორებისთვის, - განაცხადა შპს «ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის» ხელმძღვანელმა რაულ ცინცაძემ.

ტურიზმის განვითარების ფარგლებში წონიარისის ჩანჭქერების მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა. ჩანჭქერამდე გადაადგილება ტყის გავლით, საცალფეხო ბილიკითაა შესაძლებელი. აღსანიშნავია ზვარეს ჩანჭქერი, ამ ტერიტორიაზე მოწყობილია საქანელები, რაც მოსული ტურისტებისთვის დიდი განტვირთვაა. ლამაზი ბუნების გარდა, ვიზიტორს ადგილობრივი კერძების დაგემოვნებაც შეუძლია. აქვე შესაძლებელია დეგუსტაცია რამდენიმე სახეობის ქართული ღვინო, რომლებიც ევროპული სტანდარტებითაა დაწურული და შენახული. სტუმარი იმ სამეურნეო იარაღებსაც გაეცნობა, რომლებსაც ჩვენი წინაპრები იყენებდნენ.



სპორტული მოედანი - კვატიაში

თამაზ მზნაშვილი 27 48 94

თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი საჯარო სკოლის შენობა, ბაგაბალი, საჯარო ობიექტები, სოფლის ცენტრში, წყაროსთან არსებული მოსაცდელი - ეს სხალთის ხეობის უძველესი სოფლის -კვატის მშენებია. წელს ამ ობიექტებს სპორტული მოედანიც შეემატა, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 38 ათასი ლარით გაკეთდა. სამუშაოებს შპს «როდა» ასრულებდა. ახალი მოედანი ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ და საკრებულოს წევრებმა მიიწვეს.





სვლილება - სამომხმარებლო სისხლის ვალიანობაში

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძის განცხადებით, სამომხმარებლო სისხლის ვალიანობა იცვლება: „სამომხმარებლო დაკრძალვების შენელებისთვის გადავწყვიტეთ, გამოვიყენოთ მაკროპრუდენციული ინსტრუმენტები. კერძოდ, ეს ინსტრუმენტია სამომხმარებლო სისხლის მაქსიმალური ვადის 4-დან 3 წლამდე შემცირება“, - აღნიშნა გვენეტაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნული ცვლილება ძალაში 15 აგვისტოდან შევა და 1 წლის ვადით იმოქმედებს.

ამირან ბურიალიძე

„ეს შუალედური პერიოდი იძლევა დიდ შესაძლებლობებს, შეიძინოთ აქტივები ძალიან გონივრულ ფასებში“

ეს სიტყვები ბიზნესკონსულტანტ მარკ ჰენეს დანიელს ეკუთვნის, რომლის კომენტარსაც ეკონომიკის სამინისტრო ავრცელებს.

„ვფიქრობ, წყალტუბო საკმაოდ იშვიათი შესაძლებლობაა, ინვესტირება მოახდინო წარსულში, რომელიც შეიძლება საინტერესო შეთავაზება იყოს მომავალში, რათა რეგიონში მოიხილო ტურისტები და მიაწოდო მომსახურება ადამიანებს როგორც საქართველოდან, ისე მთელი მსოფლიოდან და დატკბენ საკმაოდ უნიკალური ტრადიციებით, შესანიშნავი კერძებით, ტურისტული ადგილებით და ბუნებით, რომელიც წყალტუბოშია, - განაცხადა დანიელსმა, - ეს არაჩვეულებრივი ადგილია. წყალტუბოს აქვს არქიტექტურის საოცარი კოლექცია. ამასთან, კურორტი ახ-



ლოსაა ქუთაისის აეროპორტთან, რაც ძალიან მოსახერხებელს ხდის

მასთან წვდომას. აქ თავმოყრილია უამრავი ძალიან ლამაზი შენობა, რომელთაც აქვთ თანმიმდევრული არქიტექტურა და ამავდროულად ესკურორტი გამორჩეულია უნიკალური წყლით“.

მისივე განცხადებით, საქართველოს, როგორც საინვესტიციო მიმართულების განხილვა, ძალიან მიმზიდველი წინადადებაა, საოპერაციო გარემო მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია და ერთსულ მოსახლეზე მშპ-ის მატებასთან და რიგი რეგულაციების განხორციელების შედეგად უადვილებს ხალხს ინვესტირებას ქვეყანაში.

„ქვეყანას ჰყავს ძალიან ქმედუნარიანი მთავრობა, რომელიც უზრუნველყოფს ხალხს მომსახურებით და უადვილებს მათ, მოიძიონ ობიექტები ინვესტიციებისთვის.

ცხადია, ბოლო ორი წლის განმავლობაში გლობალური გარემო რთული იყო პანდემიის გამო, თუმცა ჩვენ გადავლახავთ იმ პერიოდს. ძველმა ქვეყნებმა, როგორც საქართველო, ბევრი კრიზისი გამოიარა და თითოეულის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. ვფიქრობ, საქართველო იყო ძალიან პროგრესული ქვეყანა წარსულში, იგი იქნება ძალიან საინტერესო მომავალში, ხოლო ეს შუალედური პერიოდი იძლევა დიდ შესაძლებლობებს, შეიძინოთ აქტივები ძალიან გონივრულ ფასებში. მომავალში ეს შესაძლებლობა აღარ იქნება და სწორედ ახლა უნდა განახორციელონ ადამიანები ინვესტიცია საქართველოში“, - აღნიშნა მარკ ჰენეს დანიელსმა.

ამირან ბურიალიძე

სსრკ


ავთანდილ ბარათაშვილი

ბამოქნილი ბიზნესმენი, აღიარებული მეცენატი და ქველმოქმედი

ბუნებას თავისი კანონები აქვს, მაგრამ, ჩვენს სამყაროში, ზოგჯერ გამოიკლება სხვადასხვა უმჯობესი, რაც დღევანდელი ცხოვრების ფონზე არცთუ ისე იშვიათი გახდა.

არაჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც მთელი თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებით ქვეყნის საერთო საქმის შუაგულში ტრიალებენ, კეთილსაქმეებს აკეთებენ და ღირსეულ კვალს ტოვებენ ცხოვრებაში. ასეთ ადამიანთა ჯგუფს მიეკუთვნება ცნობილი ბიზნესმენი ავთანდილ ბარათაშვილი.

დაიბადა ხულოს რაიონის სოფელ რაქვთაში, 1953 წლის 18 ივლისს. სიკეთის ქმნა მშობლიური ოჯახიდან მოსდევდა, სადაც კაცობა, თანადგომა, ჭირ-ღმინის გაზიარება ასწავლეს. სოფლის რეალობის სკოლისა და შემდეგ ხიხაძის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაება შრომით ფერხულში.



ავთანდილ ბარათაშვილი

სულისჩამდგმელი იყო მუსიკალური ფესტივალისა „მრავალეროვანი ვორონეჟი“. იგი ფინანსურად ეხმარებოდა უბატონო და ობოლ ბავშვებს, უსინათლოთა სახლების მოხმარებებს, ომის მონაწილეებს, რის შესახებაც მასალა სისტემატურად ქვეყნდება ვორონეჟის ბეჭდურ გამოცემებსა თუ სატელევიზიო გადაცემებში.

თავის კუთხეზე უზომოდ შევყვარებულს, არც ვორონეჟში ავიწყდებოდა მშობლიური სოფელი რაქვთა, მოწყობილი ჰქონდა მისი მინიატურული მაკეტი ტომონიმებით, რაქვთაში მამაპაპისეულ კერაზე მის მიერ აშენებულ საცხოვრებელ სახლს კი ყოველწლიურად სტუმრობდა ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან ერთად.

ავთანდილის საქმეთა შორის გამორჩეული ადგილი ეკავა მშობლიურ სოფელში მოსახლეობის მიგრაციის შეჩერებას. ამიტომ იყო, რომ გადაწყვიტა იქაურთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. იგი სტუმრობისას ეცნობოდა თანასოფლელების ავტარებსა და ცდილობდა, შეემსუბუქებინა მათი მდგომარეობა. განსაკუთრებით ეხმარებოდა ავადმყოფებსა და ხელმოკლე ოჯახებს, სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს, სტიქიური უბედურებით დაზარალებულ ოჯახებსა და ეკომიგრანტებს.

ავთანდილ ბარათაშვილის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში. უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტები ღებულობენ მისი სახელობის სტიპენდიას.

ავთანდილ ბარათაშვილის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გადაიღეს ბუნების 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმი. ახალი ლიტერატურით შეივსო ბიბლიოთეკის ფონდი, მოეწყო საუნივერსიტეტო სივრცეები და ლაბორატორიები, მეცენატმა უნივერსიტეტს გადასცა მუსიკალური ინსტრუმენტები და სპორტული ინვენტარი. ეს არასრული ჩამონათვალია იმ კეთილი საქმეებისა, რაც მან საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის გააკეთა.

მშობლიურ ბათუმში განხორციელებული საქველმოქმედო პროექტები აუცილებელ ყველგან ავთანდილ ბარათაშვილის უდიდეს გულუხვობასა და უანგარობაზე. ის დღენი-აღაგ ყველას ეხმარებოდა, არც სახელმწიფო საზღვრებს და არც ეროვნული ნიშნის სხვაობას მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ავთანდილს ჰყავს ხუთი შვილი და სამი შვილიშვილი. უფროსი ვაჟი - როინი, მამის

კვალს გაჰყვა და დამოუკიდებელ ბიზნეს უძღვება, თეა და ნინოც ბიზნესსაქმიანობით არიან დაკავებული, ხოლო დანიელი და დიანა ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან. ისინი კიდევ უფრო ულამაზებდნენ ცხოვრებას ავთანდილს, უამრავ გულშემატკივართან, ახლობელთან და მეგობართან ერთად გვერდში ედგნენ მას.

საგულსხმოა, რომ ავთანდილი იყო ქალაქ ბათუმისა და მშობლიური ხულოს რაიონის საპატიო მოქალაქე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

სრულიად საქართველო ჭეშმარიტად ამავობდა და იამაყებს ხელგაშლილი ბიზნესმენით, შესანიშნავი ადამიანით, უკეთილშობილესი პიროვნებით. მისი სიკეთე, გულისხმიერება, შეჭირვებულისადმი თანადგომის ნიჭი, გაწონასწორებული ხასიათი სამაგალითოდ დარჩება ყველა ჩვენგანისთვის.

ქედს ვიხრებ მის წინაშე, ვთხოვებით თვალცრემლიანი... ავთანდილ ბარათაშვილის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

თანასოფლელების სახელით, ონისე სურმანიძე

ბავშვობიდანვე მიიქცა ავთანდილმა გარემომცვეთა ყურადღება როგორც ნიჭიერმა, მეოცნებე, მაძიებელმა ახალგაზრდამ.

უმალესი ეკონომიკური განათლება სტავროპოლის მხარეში მიიღო და აღრევე ჩაება ბიზნესში ჯერ ბელორუსიაში, შემდეგ - სტავროპოლში. 1996 წელს ქალაქ ვორონეჟში ჩამოაყალიბა დია სააქციო საზოგადოება „მეტალსტი“, რომლის გენერალური დირექტორიც იყო სიცოცხლის ბოლომდე და სამშენებლო მასალების რელიზაციითა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობით იყო დაკავებული. შემდგომში ავთანდილ ბარათაშვილი მიიწვიეს ნოვოვორონეჟში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე, სადაც გამოვლინდა მისი განსაკუთრებული ნიჭი ამ მიმართულებითაც. მოგვიანებით რუსეთის რამდენიმე ქალაქში შექმნა ფილიალები - საპროექტო ინსტიტუტები, რომელთა მთავარი ფუნქციაა ატომური ელექტროსადგურის მშენებლობისათვის პროექტების შემუშავება.

აღიარებული მეცენატი და ქველმოქმედი - ასე იცნობდნენ ქალაქ ვორონეჟის მცხოვრებნი. აქ მისი ინიციატივით და დაფინანსებით მოეწყო ქართული კინოს დღეები საერთაშორისო კინოფორუმ „ЗОЛОТОЙ ВИТЯЗЬ“-ის ეგიდით, რომელშიც მონაწილეობდნენ მსახიობები ბადურ წულაძე, ზურაბ ყიფშიძე, გუჯა ბურდული, ხელოვნებათმცოდნე დალი ოქრობრიძე, ცნობილი ფოტოგრაფი იური მეჩრიოვი, სახელგანთქმული ანსამბლი „თბილისი“, კინოფორუმის პრეზიდენტი, რუსეთის სახალხო არტისტი ნიკოლოზ ბურლიავე. ასევე, ავთანდილი

გარკვეულ პერიოდში რამდენიმე საქველმოქმედო აქცია აქვს განხორციელებული ამ ხელმადლიან ადამიანს, მისი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ვიტყვი მხოლოდ მთავრად:

მშობლიურ რაქვთასა და მის მეზობელ ფუშრუკაულში წელიწადში რამდენჯერმე თითოეულ ოჯახს (ასეთი კი 100-ზე მეტია) ურიდებდა პროდუქტებს, სოფლის სკოლის პედაგოგებს წლების განმავლობაში ეძღოდა ხელმოკლე ოჯახებს სტუდენტებს, სოფლიდან წარგზავნილი 4 ახალგაზრდა სტუდენტი ყოველთვის ურად იღებს ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიას. ასევე, რაქვთის საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის დააწესა გარდაცვლილი დის - თამარ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია. აქვე აღვნიშნავ, რომ თამარ ბარათაშვილის სახელს ატარებს რაქვთის საჯარო სკოლა.

ავთანდილმა საკუთარი წვლილი შეიტა-

ვა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში. უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტები ღებულობენ მისი სახელობის სტიპენდიას.

ავთანდილ ბარათაშვილის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გადაიღეს ბუნების 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმი. ახალი ლიტერატურით შეივსო ბიბლიოთეკის ფონდი, მოეწყო საუნივერსიტეტო სივრცეები და ლაბორატორიები, მეცენატმა უნივერსიტეტს გადასცა მუსიკალური ინსტრუმენტები და სპორტული ინვენტარი. ეს არასრული ჩამონათვალია იმ კეთილი საქმეებისა, რაც მან საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის გააკეთა.

მშობლიურ ბათუმში განხორციელებული საქველმოქმედო პროექტები აუცილებელ ყველგან ავთანდილ ბარათაშვილის უდიდეს გულუხვობასა და უანგარობაზე. ის დღენი-აღაგ ყველას ეხმარებოდა, არც სახელმწიფო საზღვრებს და არც ეროვნული ნიშნის სხვაობას მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ავთანდილს ჰყავს ხუთი შვილი და სამი შვილიშვილი. უფროსი ვაჟი - როინი, მამის

უუუნა ბერიძე

ქართველ მედიკოსთა რიგებს ღირსეული წევრი გამოაკლდა - ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ექიმი-გინეკოლოგი, ღირსების ორდენოსანი უუუნა ბერიძე.

დაიბადა 1940 წელს შუახევის რაიონის სოფელ ფურტიოში, შრომისმოყვარე ოჯახში. მშობლიური სოფლის 8-წლიანი სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა შუახევის საშუალო სკოლაში გააგრძელა. აქ სწავლის პერიოდში მისი და გორხანაული ალექსანდრე დავითაძის გზებზე გადაიკვთა, რომელიც 1960 წელს ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა.

უუუნა ბერიძის პატივი ხვდა წილად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი გახდარა იყო, რაც იმ დროს ერთეულთა ხვედრი იყო. 1969 წელს, უკვე ორი ვაჟის დედამ, ინსტიტუტი დაამთავრა და შუახევის რაიონულ საავადმყოფოში ექიმ-თერაპევტად დაიწყო მუშაობა. ეს ის წლებია, როცა აჭარის მთიანეთში ექიმების დეფიციტია. უუუნას და მის კოლეგებს პაციენტების დასახმარებლად სოფლებში გასვლა ტრანსპორტის გარეშეც კი უწევდათ.



უუუნა ბერიძე

დაოსტატების შემდეგ, 1975 წელს, ექიმ-გინეკოლოგი გახდა. იმ წლიდან მოყოლებული 2021 წლამდე, ვიდრე ასაკმა თავი არ შეახსენა, შუახველი დედებისა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე იღვა. პროფესიონალიზმის წყალობით, ასობით ქალი დედაობის მადლს აზიარა. მისთვის სამუშაო საათები და მკაცრი ამინდი არ არსებობდა - იქ მიდიოდა, სადაც მომავალი დედა შევლას ითხოვდა. მკაცრ ზამთარში 27 კილომეტრი ფეხით იარა, რათა ნაღვარეველ დედას მიშველბოდა. მისი წყალობით დედაც გადაარჩა და ახალშობილიც.

სამსახურებრივ საქმიანობას დიდი ოჯახის წინამძღოლობასაც უთავსებდა. მამით ობოლად დარჩენილ 2 შვილს დიდი ამაგი დასდო, 4 შვილიშვილს, 5 შვილთაშვილს მოეწყო. წავიდა წუთისოფლიდან ვალმოხდილი. მისი საქმე და სახელი დიდხანს დარჩება კოლეგების, მეგობრების, ოჯახის წევრების ხსოვნაში.

შუახველის მუნიციპალიტეტის ბენეფიციური თანასწორობის საპროექტი

უუუნა ბერიძის ოჯახი

<p>დირექტორი</p> <p>მამუკა ბერიძე</p>	<p>ბამოქნილი რედაქტორი</p> <p>ირმა შერვაშიძე</p> <p>ლიტერატურული რედაქტორი</p> <p>ეთარ სომარიძე</p>	<p>რედაქცია პასუსს არ ავებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.</p> <p>ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.</p> <p>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.</p>	<p>ბამოქნილი - შპს</p> <p>«ბაზაქიი აპარა ლა პლანია»</p> <p>კომპიუტერული მომსახურება - შპს «კომლორ პრესი»</p> <p>მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3.</p>	<p>მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლბოძის ქ. №2</p> <p>ტელ: 27-13-31</p> <p>ანიჭო და დაკავალონდა</p> <p>ბაზათ აპარისა კომპ. ცენტრი</p> <p>დასაბავად ხელმოწერილია 3/08/22, 21 სთ.</p>
---	---	--	--	---

